



# შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართლის სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)  
სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მიმართულება: სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი (Doctor Juris / PhD in Law)

სწავლის ხანგრძლივობა: 6 სემესტრი

სადოქტორო პროგრამის მოცულობა: 180 ECTS კრედიტი

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

1. პროგრამაზე დაიშვებიან სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს.
2. უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (გამოცდა ან შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.)
3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე, პროგრამაზე სწავლა შეუძლია მოხილობის წესით გადმოსულ პირს, რომელიც სწავლობს საქართველოს ან უცხოეთის სადოქტორო პროგრამაზე და აქვს სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

## სადოქტორო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა არის 3 აკადემიური წელი, ანუ 6 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტის დატვირთვა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო (60 კრედიტი) და კვლევითი (120 კრედიტი).

- 1 კრედიტი = 25 ასტრონომიული საათი.
- სადოქტორო პროგრამის 180 კრედიტი = 4500 ასტრონომიული საათი.

## სადოქტორო პროგრამის მიზანი

- სამართლის სადოქტორო პროგრამა დარგობრივი სადოქტორო პროგრამაა და ორიენტირებულია სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევაზე, სამართლის მეცნიერების, სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობაზე;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, რომ მისი კურსდამთავრებული ფლობდეს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნის, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და კვლევის ინოვაციური მეთოდებით სარგებლობის საშუალებას იძლევა;

- პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული ტრადიციების, დემოკრატიული ღირებულებებისა და ჰუმანიზმის იდეალებისადმი ერთგული, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სამართლის დოქტორების მომზადებაზე;
- პროგრამა ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტის განათლების ევროპულ სივრცესა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციას, დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის წახალისებას.
- სამართლის სადოქტორო პროგრამა ამზადებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებს- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომავალ სამეცნიერო კადრებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ახალგაზრდა სპეციალისტებს.

## **სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სადოქტორო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფორმირდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან კონსულტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის შინაარსს.

### **სამართლის სადოქტორო პროგრამა - 180 კრედიტი :**

#### **I. სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი:**

##### **სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები:**

**50 კრედიტი**

- |   |                    |
|---|--------------------|
| • სამართლებრივი კვლევის მეთოდები (წინაპირობის გარეშე)   | 6 კრედიტი          |
| • სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისათვის (წინაპირობის გარეშე)   | 5 კრედიტი          |
| • ორი სასემინარო ნაშრომი (წინაპირობა: სამართლებრივი კვლევის მეთოდები; სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისათვის. სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი) | 24 (12/12) კრედიტი |
| • უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის თეორია და პრაქტიკა:   |                    |
| ა. სწავლების თანამედროვე მეთოდები (წინაპირობის გარეშე);   | 5 კრედიტი          |
| ბ. პროფესორის ასისტენტობა (წინაპირობა-სწავლების მეთოდები);  | 10 კრედიტი         |

##### **სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები:**

**10 კრედიტი**

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (თითოეული 5 კრედიტი):

- |  |           |
|--|-----------|
| • ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში (წინაპირობის გარეშე); | 5 კრედიტი |
| • კურიკულუმის ფორმირების თანამედროვე მეთოდები (წინაპირობის გარეშე);                          | 5 კრედიტი |
| • მეცნიერების მენეჯმენტი (წინაპირობის გარეშე);   | 5 კრედიტი |
| • უცხოეთის უნივერსიტეტში გავლილი რელევანტური სასწავლო კურსი ;                                | 5 კრედიტი |

#### **II პროგრამის კვლევითი კომპონენტი**

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (სავალდებულო)

**120 კრედიტი:**

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, დოქტორანტი ამზადებს და გამოსაქვეყნებლად გადასცემს მინიმუმ სამ სამეცნიერო სტატიას (დისერტაციის შემადგენელი ნაწილი), რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთს - რეფერირებად სამეცნიერო გამოცემაში. სადისერტაციო საბჭო პერიოდულად განახლებს რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო გამოცემათა ჩამონათვალს, რომელშიც სასურველია დოქტორანტმა გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომები (დეტალურად იხ. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება).

დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში მინიმუმ ერთხელ სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული პრობლემატიკით მოხსენებით წარდგეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სადოქტორო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დამღვევს შედეგად უზრუნველყოფს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას, სამეცნიერო კვლევისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას.

სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიური, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები:

1. ლექცია;
2. სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
3. ინდივიდუალური მუშაობა;
4. პრაქტიკული მუშაობა;
5. სემინარი;
6. პრეზენტაცია;
7. ელექტრონული რესურსით სწავლება;

სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოთჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე, ან ნებისმიერი სხვა მეთოდი კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად, პროფესორის შეხედულების შესაბამისად, რის შედეგად სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო დოქტორანტების საქმიანობა - უფრო აქტიური.

### სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><i>დოქტორს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი ცოდნის გენერირება.</li> </ul> <p><i>დოქტორს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;</li> <li>• სამართლის უახლეს, აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;</li> <li>• სამართლის ამა თუ იმ დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის მექანიზმების, სამართლის კონკრეტული დარგის განვითარების ტენდენციების, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების პროფესიული ცოდნა;</li> </ul> <p><i>დოქტორი ფლობს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას იძლევა;</li> <li>• ცოდნის გადაცემისა და სწავლების განხორციელების ინოვაციურ მეთოდებს;</li> <li>• სამართლის მიმართულების სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებს;</li> </ul> <p><i>დოქტორი აცნობიერებს:</i></p>
------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით, ცოდნის განახლებულ ფარგლებს.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><i>დოქტორს შეეძლება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რაც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;</li> <li>• ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</li> <li>• სადოქტორო პროგრამის დამლევის შედეგად მოპოვებული სამართლებრივი საკითხების ცოდნისა და სამართლის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი, ინოვაციური მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების გათვალისწინება და შემოქმედებითად გამოყენება;</li> <li>• სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციების ამალგება, სხვა პრობლემების ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</li> <li>• სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადაწყვეტა;</li> <li>• შესაბამის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრება;</li> <li>• სამართლის ამა თუ იმ დარგში მეცნიერული კვლევის პროცესში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება და ასახვა რეფერირებად პუბლიკაციებში;</li> <li>• სამეცნიერო სფეროში პრაქტიკული საქმიანობა მაღალკვალიფიციურ დონეზე;</li> <li>• სწავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტურად გამოყენება, სასწავლო პროცესისადმი ახლებური მიდგომების შემუშავებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა, აღნიშნული მეთოდების, აგრეთვე, დაგროვილი და სტაბილურად განახლებადი ცოდნის გამოყენებით, სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვა და წარმართვა; საუნივერსიტეტო განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p><i>დოქტორს შეეძლება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>• ეფექტური და სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად;</li> <li>• სამართლის სფეროში არსებული პრობლემების, სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების შემდგომი განვითარების, სამართლის სფეროში განხორციელებული უახლეს ცვლილებებთან და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, კვლევის წარმოებასა და პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ახლებური მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, სწავლის, კვლევის, სწავლების, სხვა ტიპის საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების სწორი, ახლებური და შედეგიანი გადაწყვეტა დამოუკიდებლად;</li> <li>• დამოუკიდებელი აზროვნება, მეცნიერული კვლევისა და ცოდნის ინტეგრირება;</li> <li>• პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;</li> <li>• სამართლებრივი პრობლემების სწორი ინტერპრეტირება.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><i>დოქტორს შეეძლება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად, მკაფიოდ წარმოჩენა და გადაცემა ;</li> <li>• საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენაზე.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>სამართლის სფეროში მიმდინარე ცვლილებების პირობებში, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და მკაფიოდ წარმოჩენა, მიღებული ცოდნის წარმოჩენა მშობლიურ და უცხოურ ენებზე როგორც იურიდიულ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან; თემატურ პოლემიკაში ჩართვა და საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების დასაბუთებით წარმოჩენა არა მხოლოდ იურისტთა, არამედ ინტერდისციპლინური ჯგუფის შემადგენლობაში; თემატურ პოლემიკაში ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, პუბლიკაციების, სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p><i>დოქტორს შეეძლება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში.</li> <li>სამართლის მეცნიერების უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ კვლევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირებისა და პროცესების განვითარების მზაობის დაფიქსირება სწავლის, კვლევის, სწავლების, სხვა ტიპის საქმიანობის განხორციელების პროცესში, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის არსებული მდგომარეობისა და პრობლემური ასპექტების პროფესიული ცოდნის საფუძველზე, პრობლემების აღმოფხვრისა და მათი შემდგომი განვითარების ახლებური ხედვის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა;</li> <li>ახალი შეხედულებებისა და იდეების კრიტიკული გააზრების, მათი დანერგვის უნარი;</li> </ul> <p><i>დოქტორს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამართლის მიმართულების ახალი პროცესების განვითარებისადმი მზაობა.</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p><i>დოქტორს შეეძლება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა;</li> <li>ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> <li>ეროვნული, დემოკრატიულ-ლიბერალური და სამართლის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებების (სამართლებრივი ცნობიერების, როგორც აქტუალური სოციალური ღირებულების, სამართლებრივი ეთიკის ნორმებისა და სხვა) დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> </ul>

## ცოდნის შეფასების სისტემა

### დოქტორანტის ცოდნის შეფასება და შეფასების კრიტერიუმები სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. დაუშვებელია კრედიტის მიწევა შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

### სასწავლო კურსები:

სასწავლო კურსების შესწავლისას დოქტორანტის გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერთო სისტემაში:

- სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა.
- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;

- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმალური 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ დოქტორანტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს;
- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წონა ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

**შენიშვნა:** შუალედური შეფასების ქულა, შუალედური გამოცდების რაოდენობა და თითოეული მათგანის შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

**სასემინარო ნაშრომი:**

**სასემინარო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:**

- შუალედური შეფასება (მაქს. 60 ქულა) სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ (30 ქულა), – რეცენზენტის მიერ (30 ქულა).
- დასკვნითი შეფასება -პრეზენტაცია (მაქსიმუმ 40 ქულა).

სასემინარო ნაშრომი დაიშვება პრეზენტაციაზე თუ ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებათა ჯამით დოქტორანტს უგროვდება მინიმუმ 21 ქულა.

პრეზენტაცია ჩაითვლება ჩაბარებულად თუ დოქტორანტი დააგროვებს ამ კომპონენტისთვის გათვალისწინებულ მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50%-ს

საერთო შეფასება: სასემინარო ნაშრომის საბოლოო დადებითი შეფასება ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია - 51 -100 ქულა (დეტალურად იხ. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, დანართი 5 შესაბამისად).

**პროფესორის ასისტენტობა:**

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტი – პროფესორის ასისტენტობა, გულისხმობს სხვადასხვა სასწავლო კურსების მსვლელობისას პროფესორის ასისტენტის მოვალეობის დროებით შესრულებას. პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის ან სხვა პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტი გაუწევს ასისტენტობას. დასკვნითი შეფასება (საჯარო ლექცია) ხორციელდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (დეტალურად იხ. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, დანართი N 4). პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი- 20 ქულა.

**დოქტორანტის ცოდნის შეფასება და შეფასების კრიტერიუმები სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიხედვით:**

**სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

**სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით.**

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება იქნება მინიმუმ Rite ანუ შეადგენს მაქსიმალური შეფასების 51 % და მეტს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება წერიითი და ზეპირი შეფასების მეთოდები, და შეფასების შემდეგი სისტემა:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც შეაქვს თვალსაჩინო წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
81-90 ქულა	magna cum laude	მაღიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)

71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; შეაქვს აშკარა წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; შეაქვს დამაკმაყოფილებელი წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
51-60 ქულა	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; შეაქვს დამაკმაყოფილებელი წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
41-50 ქულა	Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო).
0-40 ქულა	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

თუ დისერტაციამ დაიმსახურა Insufficienter, „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამეშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის sub omni canone, „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია გაწერილია სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში; ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

## დასაქმების სფერო

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უფლებამოსილია დასაქმდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე, ასევე სამეცნიერო დაწესებულებაში. კანონმდებლობითა და შესაბამისი უსდ-ის ან სამეცნიერო დაწესებულების წესდებით (სხვა აქტით) შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები. მას აგრეთვე შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული საქმიანობა და დაიკავოს შესაბამისი თანამდებობები, სადაც საჭიროა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი (რიგი თანამდებობების დასაკავებლად კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი წინაპირობები, მაგალითად სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდა).

## სადოქტორო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად და დოქტორანტის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის; ბიბლიოთეკა - ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, კერძოდ, ეს არის: Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>), Royal Society Collection (<http://royalsocietypublishing.org>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>) კომპიუტერული ბაზა - ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფით; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. თუ დოქტორანტის კვლევის თემატიკის სფეროვიდან გამომდინარე საჭირო ხდება რაიმე დამატებითი ან სპეციფიკური რესურსის არსებობა, მაშინ დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი მიმართავენ უნივერსიტეტის რექტორს არგუმენტირებული განცხადებით აღნიშნული რესურსის მოძიების მიზნით. საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პარტნიორები არიან: პარტნიორი უნივერსიტეტები და მემორანდუმით დაკავშირებული პარტნიორი ორგანიზაციები. სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობისა და შემდგომი განვითარების მიზნით სდასუ-ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან.

## სადოქტორო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი.

## სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის და დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი ნაწილით, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სადოქტორო დისერტაციის თემის სპეციფიკის ადეკვატური დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შექმნაზე. დოქტორანტთა კვლევითი საქმიანობის წახალისების და ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების კონკურსის შედეგების საფუძველზე გამარჯვებულ კონკურსანტს აქვს საშუალება მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება სადისერტაციო საბჭოს მიერ მხარდაჭერილი და დოქტორანტის მიერ დაგეგმილი პრაქტიკული კვლევების ჩასატარებლად ან სამეცნიერო სტატიის გამოსაქვეყნებლად.

**საკონტაქტო პირი : პროფესორი მაია ოშხარელი, საკონტაქტო ინფორმაცია ტელ: 577456688**

**ელ ფოსტა: m.oshxareli@sdasu.edu.ge**

**კონსულტაციის გაწევის დრო და ადგილი: 16 საათი, შაბათი, აუდიტორია 211**